ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7883576

ნომერი: AR11137097

თარიღი : 06.04.2026

გაცემის თარიღი : 16.04.2026

გაცნობის თარიღი : 17.04.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ელენე ვირსალაძის I ჩიხი, N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ნაკაშაშვილი პ/ნ 01024089445
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N 45ა, ბინა 42

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნიკოლოზ ნაკაშაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024089445

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 831.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 366.41
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 3452.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 3374.05
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 78.35

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 8.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.3

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

1. საკადასტრო გეგმაზე და საჯარო რეესტრის ამონაწერში #8/1 შენობა დატანილია როგორც მშენებარე. საჭიროა წარმოადგინოთ მისი კანონიერების დამდგენი დოკუმენტაცია. ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული შენობა წარმოადგენს უნებართვო მშენებლობას გაითვალისწინეთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, მშენებლობის ერთ–ერთ სახეს წარმოადგენს დემონტაჟი, რაც სამსახურის მიერ შესაძლებელია შეთანხმებული იქნას მხოლოდ კანონიერ შენობა–ნაგებობებთან მიმართებით. უნებართვოდ შენობა–ნაგებობების აშენება კი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც თავის მხრივ სამშენებლო სამართალდარღვევაა. სამშენებლო სამართალდარღვევის კონტროლი ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლოს საქმიანობის შესახებ საქართველის კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონის მიხედვით, უნებართვო შენობა–ნაგებობების დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალური ინსპექციის მიერ მითითების გაცემით. შესაბამისად #8/1 შენობა ამოღებული იქნას დოკუმენტაციიდან.

2. დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ას ჯორჯია და მის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

3. წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილებას სამსახურში, განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

4. ვინაიდან, ამონაწერში ფიქსირდება საგადასახადო გირავნობა, წარმოსადგენია სსიპ შემოსავლების სამსახურის თანხმობა ან განახლდეს საჯარო რეესტრის ამონაწერი, სადაც საგადასახადო გირავნობა აღარ იქნება დაფიქსირებული.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.